

ილიასადმი

საგურამოში ხე არის ერთი,
ხე - რხეული და რტოებხნიერი,
აქ ისვენებდა მუზების ღმერთი
და შუბლმაღალი ოლიმპიელი.

მოსტაცა დიდი სინათლე დღეს და
პრომეთეს ცეცხლი მისცა უკუნეთს,
აქ იჯდა იგი, ამ კავლის ხესთან,
მხრებგანიერი, ვით საუკუნე.

როგორც ქაროველი პოეტის შუბლი,
იმზირებოდა რტოებში მთვარე,
ზეცას არ აჩნდა იოტიც ღრუბლის
და ვარსკვლავები იფშვნეტდნენ თვალებს.

შარიშურობდა კავლის ხის ტოტი,
ნანას უმღერდა წალკოტს ჩრდილიანს:
- ეჰ, აყვავდები, სამშობლოვ, როდის = -
მთვარესთან ღამით უთქვამს ილიას.

უყვარდა სიბრძნე და სილამაზე,
ეხურა ქუდი წითელი ფუნჯით,
აქ იჯდა იგი ნალისფერ ქვაზე,
დიდი მეტყველი და დიდი მუნჯი

აქ უწერია ოქროსხელიანს
თავის მამულის სასახელოდა.
კავლის ტოტები ახლაც მღერიან,
რასაც პოეტის ყელი მღეროდა.

მთვარემ დახია მწუხრის ზეწარი,
უკან დატოვა შავი ღრუბლები,
მე ცოცხალ პოეტს ვერ მოვესწარი
და კავლის რტოებს ვესაუბრები.

მეტყვიან ალბათ, დაჩემებულად,
მწვანე ფოთლები ნელი ჩურჩულით,
თუ რაოდენჯერ აცრემლებულა
სამშობლოს ბედით გულდათუთქული.

მეტყვიან ალბათ, თუ ცეცხლი ღვივის,
როგორ დალეჩეს სირცხვილის ზღურბლი,
როგორ გააპეს ბერდანის ტყვიით
ოლიმპიელის მაღალი შუბლი.

მეტყვიან, მკაცრი წყევლა და კრულვით
რომ მოითხოვდნენ მართლის მხილებას,
რომ იგი, ქართლის მტრების მოკლული,
დღეს გააცოცხლეს ქართლის შვილებმა.

დილისკენ თეთრი ნისლი იშლება,
სამოგზაუროდ მიდის მთაბარალ
და იფანტება ველზე გიშრებად
ლექსი, ქცეული ხალხის ანბანად.
მეც ხომ ამ ლექსის ეშმა მიშველა
და პოეზიის ცეცხლში გამბანა

ყვარლის მთებიდან ქარს ღრუბლის მური,
ნიავს ნისლი და ცრემლი მოჰკონდა.
ვინ იფიქრებდა, რომ წიწამური
შეიქნებოდა მისი გოლგოთა!

შრიალებს რტო და მიწიდან მესმის
მკერდგანიერი პოეტის სუნთქვა.
ასწიე თასი და უცებ შესვი,
თუ ეს სიმღერა გულს გწვავს და გთუთქავს.

მისი სიმღერა თერგივით რბოდა,
და ეტყვის ახლა ქვეყნად გმირს – გმირი:
წარსულმა დადგა მისი გოლგოთა,
აწმყომ დაუწნა დაფნის გვირგვინი.

1936